

უსამართლო ბრალდება

მესამოცე წლების მოღვაწეებზე

(წერილი პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიის“ 1902 წლის N108)

„ცნობის ფურცლის“ ხუთშაბათის ნომერში ჩვენ ამოვიკითხეთ შემდეგი ბრალდება:

„აფხაზეთში მთავრობის მოსპობის შემდეგ, უფრო-კი უკანასკნელ რუს-ოსმალეთა ომის შემდეგ, შავი ზღვის ნაპირებს მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია და უნდოდა დაუსრულებელის ომების წყალობით ვერანად ქცეული მხარე დაესახლებინა. ამ დროს ჩვენ გლეხ-კაცობას გულ-შემატკივარი ვინმე რომ ჰყოლოდა, მთელი ეს მშვენიერი მხარე ქართველებით იქნებოდა დასახლებული. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინ იმ საშვილი-შვილო საქმისთვის თითქმის არავის მცირე ყურადღებაც არ მიუქცევია“

ეს სიტყვები რომ სამართილიანი იყოს, მესამოცე წლების ქართველი ინტელიგენცია თავიდან ვერ აიცილებდა ამ ფრიად მძიმე ბრალდებასა, მაგრამ ეს ბრალდება ნაყოფია სრული უცოდინარობისა. დასამტკიცებლად ამისა მე მოგიტხოვრობთ ამბავს ერთის ჩემის წერილისას ხსენებულს საკითხის შესახებ, რომელიც სხვა მხრივაც არის საყურადღებო.

როცა აფხაზები გადასახლდნენ ოსმალეთში უკანასკნელის - 1877-76 წლების - ომის შემდეგ, მათი სამშობლო თითქმის მთლად დაცარიელდა. თუ ვისიმე უპრიანი იყო ეს ქვეყანა, სწორედ ქართველებისა, რადგანაც აფხაზეთი წინა საუკუნოებში ხშირად შეადგენდა საქართველოს ნაწილსა, და ამ კუთხის დასაცველად მტერთაგან ქართველობას მრავალის სისხლი დაუღვრია. ამავე დროს დასავლეთის საქართველო ითმენდა და ითმენს დიდს ნაკლებულობას მიწა-წყლისა, დიდს სივიწროვეს. მაშინდელს ქართველს ინტელიგენციას კარგად ჰქონდა შეგნებული ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა და სცდილობდა დაეცვა თავისი ერის უფლება დაცარიელებულს ტერიტორიაზე. პირადად მეც წმინდა მოვალეობად მიმაჩნდა ჩემი კალმით გამეწია ჯეროვანი სამსახური ჩვენის გაჭირვებულის გლეხებისთვის. ერთი გარემოებაც ხელს მიწყობდა. საქმე ის არის. რომ 1875 წელში მე იძულებული ვიყავი რვა თვე მეცხოვრა სოხუმში ფილტვებისა და ნერვების ავადმყოფობის გამო, და ამ შემთხვევამ მომცა შეძლება ადგილობრივ შემესწავლა საქმის გარემოება. რადგანაც ამ დიდი საკითხის გადაწყვეტა მთავრობაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ სტატია დავწერე რუსულად და დავბეჭდე 1878 წელს „Тифлисский вестник“-ში, რომლის მუდმივი თანამშრომელი ვიყავი მაშინ. წერილი პატარა არ იყო და ორს ნომერში იქმნა დაბეჭდილი მეთაურად. ამ წერილში მე ის აზრი გამყვანდა, რომ საუკეთესო მოსახლეთა კონტიგენტს დაცარიელებულის აფხაზეთისათვის შეადგენენ მეგრელები, ბარის იმერლები, ბარისავე გურულები მეთქი. ამ წერილის წინააღმდეგ „კაკვაზში“ დაბეჭდა წერილი მაშინდელმა სოხუმის ოკრუგის უფროსმა ს-ნმა ვედენსკიმ. მაშინ მე მის საპასუხოდ საკითხი უფრო ფართოდ დავაყენე. საგანი გამოვიკვლიე ყოველ მხრივ და დავწერე ვრცელი წერილი, რომელიც იმავე გაზეთში დაბეჭდილ იქმნა მეთაურებადვე თორმეტს ნომერში ზედი-ზედ. მე მოველოდებოდი მეორედ გამოლაშქრებას ვედენსკის მხრივ: მაგრამ სასიამოვნოდ მოვტყუვდი. ეს ავტორი პირადად გამოცხადდა გაზეთის რედაქციაში და, ჩვენს განსაცვიფრებლად, უთხრა რედაქტორს თავადს ბუბუთოვს:

„ვსდებ კალამს და არამც თუ ერთ სიტყვასაც აღარ ვიტყვი წინააღმდეგ, არამედ მოსარჩლე ვიქნები იმ აზრისა, რომელიც სრული საფუძვლიანობით არის განმარტებული თქვენს გაზეთში“. და ასეც მოიქცა. ასეთი ჯენტლმენური, ასეთი უპატიოსნესი საქციელი ძნელი დასაჯერებელია მეტადრე ეხლა, როცა მოკამათენი მზად არიან ერთმანეთს შეაკვდნენ მაშინაც-კი, როდესაც გრძნობენ თავის უსაფუძვლობას და უსამართლობას, მაგრამ ფაქტი ნამდვილია და, თუ გნებავთ, ეს ფაქტი ასე მშრალად არ მოხდა, როგორ ჩვენ აღვნიშნეთ, არამედ უფრო საგრძნობელი სახე ჰქონდა.

საქმე უფრო შორს წავიდა. ჩვენს აზრს გამოუჩნდა ერთი ასად უფრო ძლიერი მოსარჩლე. იმ დროს კავკასიის სანამესტიკონში მეორე ადგილი ეჭირა სტაროსელსკისა, ფრიად განათლებულს, კეთილგონიერს, და სამართლიანს გვამსა. ამან შეადგინა პროექტი შესახებ აფხაზეთის დასახლებისა და იგივე აზრი გაატარა, რომელიც ჩემს წერილში იყო განმარტებული, და თავისი მოსაზრებანი გაამართლა თურმე. სხვათა შორის, ციტატებით ჩემი წერილიდგან, როგორც ამაში დამარწმუნეს სტაროსელსკისთან დაახლოვებულმა პირებმა და, სხვათა შორის, გიორგი მიხეილის-ძე თუმანიშვილმა, რომელიც მაშინ მსახურობდა ნამესტიკის კანცელარიაში.

სტაროსელსკის პროექტი გაიგზავნა პეტერბურგში, და ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ იგი შეწყნარებული იქნებოდა უმაღლესი მთავრობისაგან. მაგრამ, შეიტყო თუ არა ეს კატკოვმა, რომელსაც მაშინ საარაკო გავლენა ჰქონდა მთელს რუსეთზე, მორთო ერთი ღრიანცელი თავის გაზეთში „Московские ведомости“. სტაროსელსკის აზრს იგი სთვილდა მავნებელ აზრად, თითქმის მოღალატეობას ადარებდა, და თხოულობდა, რომ დაცარიელებულს ადგილებზე გადაესახლებინათ შიდა რუსეთიდგან გლეხები. კატკოვმა თავისი გაიყვანა და წაღმა წარმართული საქმე უკუღმა დაატრიალა.

„ცნობის ფურცელი“- კი კატკოვის ცოდოს აბრალეებს მაშინდელის ქართველ მოღვაწეობის დაუდევრობას. ასეთი უსამართლობა აუცილებელია ყოველის ყმაწვილი ლიტერატორისათვის, რომელიც საჭიროდ არა სთვლის შეიტყოს და გაიცნოს, რა უკეთებათ და რისთვის უბრძოლნიათ იმათ, რომელნიც მასზედ ადრე გამოსულან საზოგადო ასპარეზზე.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

პაოლო იაშვილის სახელობის, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის მოსწავლემ **სალომე გაფრინდაშვილმა**.